საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცნობილი და დამატება საქართველოს რესპუბლიკის შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საქორწინო ასაკი

საქორწინო ასაკად მამაკაცებისათვის დაწესებულია 17 წელი, ქალებისათვის – 16 წელი“.

2. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის დასახელება და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 119. სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი

სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი

ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№76